საქართველოს ტერიტორიაზე მასტიმულირებელი აქციის «მიენდე Oreo-ს - დაატრიალე - ითამაშე - მოიგე!» ჩატარების წესები და მონაწილეობის პირობები (შემდგომში ტექსტში – „აქცია“).

1.ზოგადი დებულებები

1.1. სარეკლამო აქცია პირობითი სახელწოდებით „მინი თამაშები“ იმართება საქართველოს ტერიტორიაზე და მიზნად ისახავს აქციის ორგანიზატორის მიერ სასაქონლო ნიშნით „ორეო“ გაყიდული პროდუქციის პოპულარიზაციას. აქცია ხორციელდება პოტენციური მყიდველების ყურადღების მიქცევის მიზნით Oreo-ს სავაჭრო ნიშნის ქვეშ მყოფ პროდუქტებზე.

1.2. აქცია არ არის ლატარია ან/და წამახალისებელი გათამაშება.

1.3. ჩატარების ადგილი - საქართველო

1.4. აქცია ხორციელდება საქართველოში მდებარე ყველა მაღაზიაში.

1.5. აქციაში მონაწილეობის ოფიციალური წესები და პირობები (შემდგომში „წესები“) განთავსებულია ვებგვერდზე ge.oreo-promo.com (შემდგომში „ვებგვერდი“).

1.6. აქციის წესების ნახვა შეგიძლიათ ვებგვერდზე.

2. აქციაში მონაწილე საქონლის დასახელება:

– ორცხობილა OREO კაკაოთი და ვანილის შიგთავსის გემოთი, 38გრ

– ორცხობილა OREO კაკაოთი და ვანილის შიგთავსის გემოთი, 95 გრ

– ორცხობილა OREO კაკაოთი და ვანილის შიგთავსის გემოთი, 228გრ

– ორცხობილა OREO კაკაოთი და შოკოლადის შიგთავსის გემოთი, 95 გრ

– ორცხობილა OREO კაკაოთი და შოკოლადის შიგთავსის გემოთი, 228 გრ

– ორცხობილა OREO კაკაოთი და მარწყვის შიგთავსის გემოთი, 95გრ

– ორცხობილა OREO კაკაოთი და მარწყვის შიგთავსის გემოთი, 228გრ

(შემდგომში – «პროდუქცია»).

3. აქციის ორგანიზატორი და ოპერატორები

3.1. აქციის ორგანიზატორია შპს მონდელიზ საქართველო, საიდ.კ 404894575 (შემდგომში - "ორგანიზატორი"). ადგილმდებარეობა: ვაკის რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N70 მე-5 სართული.

3.2. აქციის ოპერატორია შპს ჯორჯია მედია იქსჩეინჯი. მისამართი: საქართველო, თბილისი, ქ. ზ.ფალიაშვილის 85 მე-5 სართული, საიდ.კ: 204574399,

3.2.1. აქციის ოპერატორი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

– კამპანიის ოპერატიული ნაწილის ზოგადი მართვა და კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე;

– პრიზის მიწოდების კონტროლი გამარჯვებულებამდე;

– აქციის ჩატარების და პრიზების მიწოდების დოკუმენტალური გაფორმება;

– კომუნიკაცია მონაწილეებთან და გამარჯვებულებთან;

– პრიზებთან დაკავშირებული ფიზიკური პირების შემოსავლებზე გადასახადების გადახდა;

– პრიზების მფლობელების დადგენა თანახმად აქციის წესებით ;

– “Oreo“-ს შეფუთვების სკანირების მოდერაცია;

– გამარჯვებულების პრიზებით დაჯილდოება მე-6 მუხლის შესაბამისად.

4. აქციის მონაწილეები

4.1. აქციაში მონაწილეობის უფლება აქვთ სრულწლოვნებს (18 წლის და უფროსი ასაკის), საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეებს და საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ საქართველოში ბინადრობის ნებართვის მქონე პირებს.

4.2. აქციაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ: საქართველოს არასრულწლოვან მოქალაქეებს, აქციის ორგანიზატორის/ოპერატორების თანამშრომლებს, აქციის ორგანიზატორთან/ ოპერატორთან სათანადოდ აღიარებულ დაკავშირებულ პირებს, რომლებიც ასოცირდებიან აქციის ჩატარება და/ან ორგანიზებასთან, ასევე მათი ოჯახის წევრებს, მოქალაქეობის არმქონე პირებს და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ საქართველოში ბინადრობის ნებართვა.

5. აქციის ჩატარების ვადები

5.1. აქციის ჩატარების საერთო ხანგრძლივობაა 2024 წლის «01» აგვისტოს 00:00:01 საათიდან (ქ. თბილისის დროით) 2024 წლის «31» ოქტომბრის 23:59:59 (ქ. თბილისის დროით) საათამდე (ჩათვლით). არსებულ წესებში მითითებული ყველა ვადა ითვლება ქ. თბილისის დროით

5.2. მონაწილეთა მიერ შეფუთვების სკანირების ვადა: 2024 წლის «01» აგვისტოს 00 საათი 00 წუთი 01 წამიდან (ქ. თბილისის დროით) 2024 წლის 31 ოქტომბრის 23 საათი 59 წუთი 59 წამამდე (ქ. თბილისის დროით). (შემდგომში - შეფუთვების სკანირების ვადა).

5.3. გამარჯვებულთა გამოვლენის ვადა:

5,3,1 არაუგვიანეს 2024 წლის 10 სექტემბერი - ყველა იმ მონაწილეს შორის, ვინც მოხვდა 2024 წლის 1 აგვისტოდან 2024 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის რეიტინგში;

5,3,2, არაუგვიანეს 2024 წლის 10 ოქტომბერი - ყველა იმ მონაწილეს შორის, ვინც მოხვდა 2024 წლის 1 სექტემბრიდან 2024 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდის რეიტინგში;

5,3,3. არაუგვიანეს 2024 წლის 10 ნოემბერი - ყველა იმ მონაწილეს შორის, ვინც მოხვდა 2024 წლის 1 ოქტომბრიდან 2024 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის რეიტინგში;

5.4. გამარჯვებულთათვის პრიზების გადაცემის ვადა: 2024 წლის 1 აგვისტოდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე (ჩათვლით).

5.5. აქცია გრძელდება 13 კვირა.

6. აქციის შემადგენლობა და საპრიზო ფონდის ოდენობა

აქციის საპრიზო ფონდი იქმნება ორგანიზატორის ხარჯზე და შედგება შემდეგი პრიზებისაგან (შემდგომში „პრიზები“):

6.1. **გარანტირებული პრიზები:**

6.1.1. ბმული სტიკერპაკზე (10 გამოსახულების ნაკრები) Telegram მესენჯერში გაცვლისათვის, შეუზღუდავი რაოდენობით;

6.2, ყოველთვიური პრიზები:

6.2.1 ყურსასმენები Marshall Major IV და სამაგიდო თამაში, რაოდენობით 21 (ოცდაერთი) ცალი აქციის ჩატარების მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.

6.2.2. აიფონ 15 (Iphone 15) და სამაგიდო თამაში, რაოდენობით 6 (ექვსი) ცალი აქციის ჩატარების მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში

6.2.3. 5000 ლარი და სამაგიდო თამაში, რაოდენობით 3 (სამი) ცალი აქციის ჩატარების მთელი ხანგრძლივობის განმავლობაში.

7. აქციაში მონაწილეობის წესები

7.1. იმისათვის, რომ გახდეთ აქციის მონაწილე (შემდგომში „მონაწილე“) და გქონდეთ პრიზის მოპოვების შესაძლებლობა, აქციის პერიოდში უნდა შეასრულოთ შემდეგი მოქმედებები:

– საქართველოს ნებისმიერ მაღაზიაში შეიძინეთ წინამდებარე წესების მე-2 პუნქტში გათვალისწინებული მინიმუმ 1 (ერთი) ერთეული პროდუქცია სავაჭრო ნიშნით „Oreo“.

– დაასკანირეთ შეფუთვა აქციის ვებგვერდზე ge.oreo-promo.com

– გაიარეთ რეგისტრაცია შემდეგი ინფორმაციის მითითებით : სახელი, გვარი, ელექტრონული ფოსტა და მობილური ტელეფონის ნომერი.

– მიიღეთ წვდომა მონაწილის პირად ანგარიშზე.

– Oreo-ს მინი-თამაშების თამაშითა და მოგებით დააგროვეთ ქულები

7.2. «გამოიცანი სად» მინი თამაშის წესები - ექვს უჯრედში - არის სამი ჩვეულებრივი ორცხობილა და სამი გახსნილი კრემით. უნდა გახსნათ ის უჯრედები, რომლებიც შეიცავს ღია ორცხობილებს კრემით.

7.3. «სამი რიგში» მინი თამაშის წესები თამაშის ელემენტებია - ორცხობილები A გეგმით, ორცხობილები გეგმით B და ჩვეულებრივი ორცხობილები.

7.4. მინი-თამაშის „Oreo bird“ წესები, საჭიროა გადაადგილება, ამასთან ერთად თავი აარიდეთ ბარიერებს.

7.5. «Speedy Cookie» მინი თამაშის წესები - სწრაფად მგორავი Oreo - ს ორცხობილის მეშვეობით შეაგროვეთ ფუნთუშები და ამასთან ერთად თავი აარიდეთ ბარიერებს.

7.6. მინი თამაშის «Oreo Tower» -ის წესები - უნდა შექმნათ კოშკი ორცხობილის ორცხობილაზე დადებით.

ყოველი ორცხობილა - არის ქულა;

კოშკის დაცემა - დამარცხება.

7.7. მინი თამაშის «იქსი და ნოლის» წესები - თამაში, სადაც ნულის ნაცვლად არის Oreo.

7.8. Oreo-ს მინი თამაშებზე წვდომის პირობები მობილური ვერსიისთვის.

7.8.1. მონაწილე ატრიალებს ტელეფონს, ორცხობილა ტრიალებს და ბრუნდება ერთ მხარეს კრემით. თამაშობს იმ თამაშს რომელ მხარეზეც იყო კრემი.

7.9. Oreo-ს მინი თამაშებზე წვდომის პირობები დესქტოპ ვერსიისთვის.

7.9.1. მონაწილე აჭერს "ენდე Oreo"-ს. თამაშობს იმ თამაშს რომელ მხარეზეც იყო კრემი.

7.10. მონაწილეს შეუძლია თითოეული ტიპის პროდუქტის სკანირება არაუმეტეს 1 (ერთჯერადად).

7.11. აქციის მონაწილეს შეუძლია დაარეგისტრიროს მხოლოდ ერთი ანგარიში ვებგვერდზე ge.oreo-promo.com.

7.12. დაუშვებელია აქციის ერთი მონაწილის მრავალჯერადი რეგისტრაცია ვებგვერდზე ge.oreo-promo.com რამდენიმე ტელეფონის ნომრისა და ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით. აქციის მონაწილის ასეთი ქმედება წარმოადგენს აქციის ამ წესების დარღვევას.

7.13. თუ ორგანიზატორი/ოპერატორი დაადასტურებს მრავალჯერადი რეგისტრაციის ფაქტს (რეგისტრაციის დროს რამდენიმე ელექტრონული ფოსტის მისამართისთვის მითითებულია აქციის ერთი მონაწილის პასპორტის მონაცემები), ორგანიზატორს/ ოპერატორს უფლება აქვს, უარი თქვას აქციის მონაწილისთვის პრიზის გაცემაზე და გამორიცხოს იგი აქციაში მონაწილეობისგან.

7.14. ოპერატორს უფლება აქვს აქციის მონაწილეებს მოსთხოვოს დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია შეფუთვების კანონიერების დამატებითი გადამოწმებისთვის, ასევე დაადასტუროს აქციის მონაწილის ქმედებების შესაბამისობა აქციის სხვა წესებთან.

7.15. აქციის მონაწილე იღებს ვალდებულებას ოპერატორის მხრიდან შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში წერილობით მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია ელექტრონული ფოსტის მისამართზე support@oreo-promo.com:

– პირადობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტის სკანირებული ასლი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პირადი ნომრის, სახელისა და გვარის, დაბადების თარიღის, შესახებ;

- საცხოვრებელი ადგილი

– სხვა ინფორმაცია ოპერატორის მოთხოვნით

7.16. ამ დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო, წაკითხვადი ყველა ასოებითა და ციფრებით.

7.17. აქციის მონაწილისგან დოკუმენტებისა და ინფორმაციის მიღებისთანავე ოპერატორი განიხილავს მათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მოწოდებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის განხილვის შედეგების საფუძველზე ოპერატორს უფლება აქვს, დაუშვას აქციის მონაწილის განცხადება (რომელიც საფუძვლად დაედო დამატებითი დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნას) აქციაში მონაწილეობისთვის ან გააუქმოს იგი.

7.18. თუ აქციის მონაწილე მითითებულ ვადაში არ მიაწვდის აუცილებელ მონაცემებს, აქციის მონაწილის განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გამოთხოვის მოთხოვნას, უქმდება და არ ეძლევა აქციაში მონაწილეობის უფლება.

7,19 განაცხადების (შეფუთვების), რომლებსაც არ გაუვლიათ ვალიდაცია, ასევე გაუქმებულ განაცხადების (შეფუთვების), აქციაში ხელახალი მონაწილეობა დაუშვებელია.

7.20. თუ აქციის მონაწილისგან ინფორმაციისა და დოკუმენტების მოთხოვნისა და მიწოდების დროს ხდება აქციის მონაწილის მიერ ამ აქციის წესების დარღვევის ფაქტი, ოპერატორს უფლება აქვს გამორიცხოს ასეთი აქციის მონაწილე აქციაში შემდგომი მონაწილეობისგან და უარი თქვას პრიზების გაცემაზე.

7,21 მონაწილეს შეუძლია მოიგოს თითოეული ტიპის პრიზი არა უმეტეს 1 (ერთჯერ).

8. პრიზიორების დადგენა

8.1. გარანტირებული პრიზების გამარჯვებულები გამოვლინდებიან განაცხადების მიღების პერიოდში ყველა მონაწილეს შორის, ვინც ითამაშა და მოიგო ვებ თამაში, თანახმად თამაშის წესებისა, აქციის ვებგვერდზე ge.oreo-promo.com განყოფილებაში ვებგვერდზე ge.oreo-promo.com თანახმად წინამდებარე წესების შესაბამისად 2024 წლის 01 აგვისტოდან 2024 წლის 31 ოქტომბრამდე.

8.1.2. გარანტირებული პრიზების გამარჯვებულები გამოვლინდებიან შემდეგნაირად: რეგისტრაციის გავლისა და ვებ თამაშში გამარჯვების შემდეგ ყველა მონაწილეს ეძლევა თანხა ტელეფონის ბალანსზე.

8,2 ყოველთვიური პრიზების გამარჯვებულების გამოვლენა:

8,2,1 ყველას, ვინც მიიღო გარანტირებული პრიზი, ეხსნება წვდომა თვის მეორე მინი თამაშზე ქულების საერთო ჩათვლის მექანიკით.

8,2,2, ყველა მოთამაშე შედის საერთო რეიტინგში. ყოველი მოგებული სათამაშო სესიისთვის ქულები ჯამდება მოთამაშის რეიტინგში.

8,2,3, 1 (ერთ) თვეში შენარჩუნებულია 1 რეიტინგი, შედეგები ანულირდება მომდევნო თვეში.

8,2,4, ყოველი თვის რეიტინგში 1(პირველ) ადგილზე გასულ მონაწილეს გადაეცემა პრიზები - 5000 ლარი და სამაგიდო თამაში;

8,2,5 ყოველი თვის რეიტინგში მე-2 და მე-3 ადგილზე გასულ მონაწილეებს გადაეცემათ პრიზები - 1 (ერთი) ცალი აიფონ 15 (Iphone 15) და სამაგიდო თამაში;

8,2,6 ყოველი თვის რეიტინგში მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 ადგილზე გასულ მონაწილეებს გადაეცემათ პრიზები - 1 (ერთი) ცალი ყურსასმენები Marshall Major IV და სამაგიდო თამაში;

8.2.7, ყოველი თვის რეიტინგი გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე ge.oreo-promo.com, რომელიც ნახლდება რეალურ რეჟიმში საათში ერთჯერ. თოთოეულ მონაწილეს შეუძლია ნახოს თავისი ქულები და ადგილი რეიტინგში მონაწილის პირად ანგარიშზე.

8,2,8 გამარჯვებულთა სია გამოქვეყნდება ვებ-გვერდზე ge.oreo-promo.com.

8,2,9 ფოტოების და ორცხობილის შეფუთვების რეგისტრაციას, ასევე რეფერალურ ბმულებზე გადასვლას მოაქვს დამატებით ქულები რეიტინგში.

9. პრიზების გაცემის პროცედურა

9.1. წინამდებარე წესების 5.4 პუნქტში მითითებულ პერიოდში ოპერატორი აგზავნის აქციის პრიზებს.

9.2 ყოველთვიური პრიზების გადაცემა ხდება ხელზე ოპერატორის ოფისში ან საქართველოს საკურიერო სამსახურით.

9,3 პრიზის მისაღებად, გამარჯვებული იღებს ვალდებულებას, 72 საათის განმავლობაში ოპერატორს მიაწოდოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია ელექტრონული ფოსტით support@oreo-promo.com:

– დაადასტუროს მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც მითითებული იყო რეგისტრაციისას აქციის ვებგვერდზე ge.oreo-promo.com და რომლითაც ოპერატორს შეუძლია დაუკავშირდეს გამარჯვებულს.

– მიუთითოს პრიზის მიწოდების მისამართი;

– პირადობის დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტის სკანირებული ასლი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას პირადი ნომრის, სახელისა და გვარის, დაბადების თარიღის, შესახებ;

– პრიზის მიღება-ჩაბარების აქტი, ხელმოწერილი გამარჯვებულის მიერ;

– სხვა ინფორმაცია ოპერატორის მოთხოვნით, რომელიც აუცილებელია გამარჯვებულისთვის პრიზების მინიჭებისთვის.

9.4. თუ გამარჯვებულმა მიაწოდა არასწორი ინფორმაცია პრიზის მიწოდების შესახებ, არასწორი ტელეფონის ნომერი აქციის ვებგვერდზე ან 72 საათის განმავლობაში არ მიაწოდა დოკუმენტები თანახმად წინამდებარე წესების 9.3 პუნქტებისა, ოპერატორი იტოვებს უფლებას არ მიაწოდოს პრიზი გამარჯვებულს და განკარგოს იგი საკუთარი შეხედულებისამებრ.

თამაშებში ქულების დარიცხვის მექანიკა.

ქვეყანა	თვე	თამაში	მიზანი	რისთვის გეძლევათ ქულა			თამაშებისთვის	დამატებით			
							მაქსიმუმ თვეში ყოველთვიური გათამაშებისთვის	ორცხობილის 1 ფოტო		ერთი გადასვლა რეფერალურ ბმულზე	
საქართველო	აგვისტო	იქსი და ნოლი	ითამაშეთ იქსი და ნოლის წესებით	1 მოგება = 1 ქულა			ულიმიტო	15 ქულა	მაქს. 30 ქულა	20 ქულა	მაქს 100 ქულა

საქართველო	აგვისტო	Oreo Bird	მიფრინდით ბოლომდე, გაიარეთ „ჭიშკარი“ ბარიერებიდან	1 გასული ჭიშკარი = 1 ქულა				ყოველი სახეობის მაქსიმუმ 1 ფოტო		
საქართველო	სექტემბერი	გამოიცანი სად	მოასწარით 30 წამში გახსნათ მთელი სათამაშო მოედანი 30 წამში	თუ მოასწრებ = 1 ქულა						
საქართველო	სექტემბერი	სამი რიგში	მოასწარით 2 წუთში შეაგროვოთ 3 (სამი) რიგში:: - 3 ორცხობილა კრემის გარეშე (შავი) - 3 ორცხობილა კრემით (თეთრი) - 3 ყურსასმენი	თუ მოასწრებ = 1 ქულა						
საქართველო	ოქტომბერი	Speedy Cookie	გაიარეთ ბოლომდე გზაზე ჩეკპოინტების გავლით.	1 ჩეკპოინტი = 1 ქულა						
საქართველო	ოქტომბერი	Oreo Tower	ააშენეთ სიმაღლეში 5 შეკვრა ორეო	ააშენე = 1 ქულა						

10. სხვა პირობები

10.1. აქციის ორგანიზატორს უფლება აქვს, შეცვალოს ამ აქციის პირობები აქციის მთელი პერიოდის განმავლობაში და წინასწარ აცნობოს აქციის მონაწილეებს ვებგვერდზე ცვლილებების ძალაში შესვლამდე სამი კალენდარული დღით ადრე.

10.2. აქციის ორგანიზატორს ან/და ოპერატორებს აქციის ორგანიზატორის დავალებით უფლება აქვთ, უარი განაცხადონ კონკრეტული პირისთვის პრიზის გაცემაზე, თუ არსებობს ამ პირის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში სინამდვილესთან შეუსაბამობა ან/და აქციის მონაწილის მიერ აქციის წინამდებარე წესებისა და პირობების სხვაგვარი შეუსრულებლობა. პრიზის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ორგანიზატორი განკარგავს პრიზს საკუთარი შეხედულებისამებრ.

10.3. ორგანიზატორს ან/და ოპერატორს, აქციის ორგანიზატორის დავალებით, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია ბათილად ცნონ განაცხადები მონაწილეობისთვის, ასევე აუკრძალოს ამ აქციაში შემდგომი მონაწილეობა ნებისმიერ პირს, რომელიც აყალბებს ან სარგებელს იღებს მონაწილეობისთვის განაცხადების წარდგენის პროცესსა ან/და აქციის ჩატარებაში ნებისმიერი გაყალბებით, ან/და მოქმედებს ამ წესების დარღვევით, მოქმედებს დესტრუქციულად, ან ახორციელებს ქმედებას იმ ნებისმიერი პირის შევიწროვების, შეურაცხყოფის, მუქარის ან შეწუხების მიზნით, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს ამ აქციასთან, ასეთის მიზეზი ან/დასაფუძველია მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი:

10.4. თუ აქციის ორგანიზატორს/ოპერატორს აქვს რაიმე ვარაუდი, რომ რეგისტრაციისას მონაწილის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არასწორი, არასრული, მცდარი ან არაზუსტია;

10.5. თუ აქციის ორგანიზატორს/ოპერატორს აქვს ეჭვი/მიზეზი ივარაუდოს, რომ მონაწილე სჩადის თაღლითურ ქმედებებს, მონაწილეობს მოტყუებაში, მოსყიდვასა ან ფინანსურ თაღლითობაში, ხმის მიცემაში მონაწილე პირების მატერიალურ სარგებელის შეთავაზებაში, მათ შორის მრავალჯერად რეგისტრაციაში, ვებგვერდზე დინამიური და სხვა მანიპულაციების გამოყენებაში, რამაც გამოიწვია ან შეიძლება გამოიწვიოს სხვადასხვა სახის და ხარისხის უარყოფითი შედეგები როგორც თავად ვებგვერდისთვის, ასევე მისი მონაწილეებისთვის;

10.6. თუ მონაწილე მოქმედებს ამ წესების დარღვევით, ოპერატორს უფლება აქვს მოითხოვოს აქციის მონაწილეებისგან დოკუმენტები და ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია აქციის მონაწილის მიერ აქციის წესებთან შესაბამისობის დასადასტურებლად.

თუ აქციის მონაწილე მითითებულ ვადაში ვერ მიაწვდის აუცილებელ მონაცემებს, აქციის მონაწილის განცხადება, რომელიც საფუძვლად დაედო დამატებითი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის გამოთხოვნის მოთხოვნას, უქმდება და ეკრძალება აქციაში მონაწილეობა.

10.7. თუ აქციის მონაწილისგან ინფორმაციისა და დოკუმენტების მოთხოვნისა და მიწოდების დროს ხდება აქციის მონაწილის მიერ ამ აქციის წესების დარღვევის ფაქტი, ოპერატორებს უფლება აქვთ გამორიცხონ ასეთი აქციის მონაწილე აქციაში შემდგომი მონაწილეობისგან და უარი თქვან პრიზების გაცემაზე.

10.8. თუ რაიმე მიზეზით აქცია არ შეიძლება განხორციელდეს ისე, როგორც დაგეგმილია, მათ შორის, კომპიუტერული ვირუსებით გამოწვეული შეფერხებები, ინტერნეტის გაუმართაობით, დეფექტებით, მანიპულაციებით, არასანქცირებული ჩარევით, ფალსიფიცირებით, ტექნიკური გაუმართაობით ან ოპერატორის კონტროლის მიღმა ნებისმიერი მიზეზით, რაც ამახინჯებს ან გავლენას ახდენს აქციის შესრულებაზე, უსაფრთხოებაზე, სამართლიანობაზე, მთლიანობასა ან სათანადო

განხორციელებაზე, ორგანიზატორს შეუძლია, თავისი შეხედულებისამებრ, გააუქმოს, შეწყვიტოს, შეცვალოს ან დროებით შეაჩეროს აქცია ან გააუქმოს აქციის მონაწილეობისთვის ნებისმიერი ხელყოფილი განაცხადი.

10.9. ორგანიზატორს უფლება აქვს არ შევიდეს წერილობითი მოლაპარაკებებსა ან სხვა კონტაქტებში აქციის მონაწილეებთან, რომლებიც არ არიან დაკავშირებული აქციის ჩატარებასთან.

10.10. აქციის ორგანიზატორი/ოპერატორი არ არის პასუხისმგებელი მონაწილეების მიერ აქციაში მონაწილეობის წესებისა და პირობების არ გაცნობაზე, ასევე მათ მიერ აქციის შედეგების არ გაცნობაზე; მონაწილეთაგან წერილების, ზარების, ფაქსების და/ან ელექტრონული შეტყობინებების მიუღებლობაზე, მათ შორის საფოსტო სამსახურის, საკომუნიკაციო ორგანიზაციების ბრალით, ტექნიკური პრობლემების ან/და ინტერნეტსა და/ან საკომუნიკაციო არხებზე თაღლითობის შედეგად, რომლებიც გამოიყენება აქციის დროს; მონაწილეთაგან პრიზების მისაღებად საჭირო დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიუღებლობა (არადროულად მიღება), მონაწილეთაგან არასრული ან/და არასწორი საკონტაქტო ან/და სხვა ინფორმაციის მიღება, რომელიც აუცილებელია აქციის ჩატარებისა და პრიზების გადაცემის მიზნებისათვის.

10.11. ორგანიზატორი არ არის პასუხისმგებელი ამ წესებით განსაზღვრულ ვალდებულებებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფორსმაჟორული გარემოებების შემთხვევაში.

10.12. ამ აქციასთან დაკავშირებული ყველა სადაო საკითხი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

11. **პერსონალური მონაცემები**

11.1. აქციაში მონაწილე პირებმა (შემდგომში „პერსონალური მონაცემების სუბიექტები“) უნდა მიაწოდონ თავიანთი პერსონალური მონაცემები. მოწოდებული ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემებს და დაცულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.2 პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ: შპს მონდელიზ საქართველო, საიდ.კ 404894575. ადგილმდებარეობა: ვაკის რაიონი ვაჟა-ფშაველას გამზირი N70 მე-5 სართული და შპს ჯორჯია მედია იქსჩეინჯი. მისამართი: საქართველო, თბილისი, ქ. ზ.ფალიაშვილის 85 მე-5 სართული, საიდ.კ: 204574399.

11.3. პერსონალური მონაცემების შეგროვების მიზნები:

პერსონალური მონაცემები გროვდება

- მონაწილეებისთვის პრიზების გაგზავნის, მოგების შესახებ შეტყობინებების გაგზავნის მიზნით,
- მარკეტინგული ანალიზის ჩატარებისა და სტატისტიკური ინფორმაციის მომზადების მიზნით,
- აქციის მსვლელობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც გულისხმობს პრიზიორების სიის ან/და რეიტინგის განთავსებას აქციის ვებგვერდზე ge.oreo-promo.com 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. პრიზიორთა სიის განთავსება გულისხმობს დაშიფრული-არასრული სახით სახელის, გვარის, ტელეფონის ნომრის გამოქვეყნებას ვებგვერდზე.
- სხვა აუცილებელი მიზნებისთვის, საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

11.4. მონაცემთა დამუშავების საფუძვლები:. მონაცემები შეიძლება დამუშავდეს შემდეგი საფუძვებით:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე; ან
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად; ან
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. ან
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად. ან
- საქართველოს კანონმდებლობით გათლისწინებული სხვა საფუძვლები.

11.5. პერსონალური მონაცემების სუბიექტების თანხმობით მიღებული პერსონალური მონაცემები ოპერატორისა და სხვა მესამე პირების მიერ აქციის ორგანიზატორის სახელით შეიტანება საქართველოს ტერიტორიაზე მდებარე სპეციალურად დაცულ მონაცემთა ბაზაში.

11.6. პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს როგორც ოპერატორის, ასევე მის მიერ უფლებამოსილი პირების მიერ მონაცემთა დამუშავების ავტომატური საშუალებების გამოყენებით. მონაწილეს უფლება აქვს მიიღოს სხვა ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომელიც ამუშავებს მონაწილის პერსონალურ მონაცემებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.7. პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს შემდეგი გზებით: შეგროვება, მოპოვება, მათზე წვდომა, შეკრება, შენახვა, აღდგენა, სისტემატიზაცია, დაზუსტება (განახლება, შეცვლა), გამოყენება, დაბლოკვა, წაშლა და/ან განადგურება აქციის მიზნით, აგრეთვე მონაცემთა დამუშავება გამჟღავნების გზით მათი გადაცემით, გასაჯაროებით, გავრცელებით ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომით.

11.8. პერსონალური მონაცემების დამუშავების პერიოდი: აქციის პერიოდი, ასევე ერთი წელი მისი დასრულების დღიდან.

11.9. პერსონალური მონაცემების სუბიექტის პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება:

1.მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მოსთხოვოს იმის დადასტურება, მუშავდება თუ არა მის შესახებ მონაცემები, დასაბუთებულია თუ არა მონაცემთა დამუშავება და მოთხოვნის შესაბამისად უსასყიდლოდ მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) მის შესახებ იმ მონაცემის თაობაზე, რომელიც მუშავდება, აგრეთვე ამ მონაცემის დამუშავების საფუძვლისა და მიზნის შესახებ;

ბ) მონაცემთა შეგროვების/მოპოვების წყაროს შესახებ;

გ) მონაცემთა შენახვის ვადის (დროის) შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

დ) მონაცემთა სუბიექტის ამ თავით გათვალისწინებული უფლებების შესახებ;

ე)მონაცემთა გადაცემის სამართლებრივი საფუძვლისა და მიზნების, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების შესახებ, თუ მონაცემები გადაეცემა სხვა სახელმწიფოს ან საერთაშორისო ორგანიზაციას;

ვ) მონაცემთა მიმღების ვინაობის ან მონაცემთა მიმღებების კატეგორიების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია მონაცემთა გადაცემის საფუძვლისა და მიზნის თაობაზე, თუ მონაცემები მესამე პირს გადაეცემა;

ზ) ავტომატიზებული დამუშავების, მათ შორის, პროფაილინგის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების და იმ ლოგიკის შესახებ, რომელიც გამოიყენება ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად, აგრეთვე მონაცემთა დამუშავებაზე მისი გავლენისა და დამუშავების მოსალოდნელი/სავარაუდო შედეგის თაობაზე..

11.10. ოპერატორები, აქციის ორგანიზატორი და სხვა მესამე პირები, რომლებიც ამუშავებენ პერსონალურ მონაცემებს ოპერატორის ან პარტნიორის სახელით, რომლებსაც აქვთ წვდომა პერსონალურ მონაცემებზე, უზრუნველყოფენ ზომებს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მათი დამუშავების დროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად..

11.11. პერსონალური მონაცემების სუბიექტს უფლება აქვს გააუქმოს თანხმობა აქციის პერსონალური მონაცემების ოპერატორს

ელექტრონული ფოსტით გაგზავნით, შეტყობინებაში მითითებულია აქციის დასახელება, მისი გვარი, სახელი, პირადი ნომერი, დაბადების თარიღი და ქვეყანა, რაც მონაწილემ აღნიშნა, რომ მონაწილეობა მიეღო აქციაში მისი სარეგისტრაციო მონაცემებიდან.

11.12. ყველაფერში, რაც არ არის გათვალისწინებული ამ წესებით, ორგანიზატორი/ოპერატორი და მონაწილეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.